	საფუძველზე, ორჯერ გაგრძელდა და ამჟამად განსაზღვრულია 2028 წლის 1 სექტემბრამდე. საჯარო რეესტრის ამონაწერით, სკოლის სარგებლობაშია 1002.59კვ.მ. ფართის შენობა-ნაგებობა, რომელიც განთავსებულია 412.00კვ.მ მიწის ფართობზე. სკოლის შენობა მოიცავს სარდაფს და ოთხ სართულს. სარდაფის ფართია-187.07 კვ.მ, სადაც მოწყობილია სამზარეულო და სასადილო დარბაზი. აგრეთვე განთავსებულია სასაწყობე ფართები. სარდაფში დამონტაჟებულია სავენტილაციო სისტემები და განთავსებულია სახანძრო ინვენტარი. I სართულზე, რომლის საერთო ფართია-188.86კვ,მ, განთავსებულია ადმინისტრაციული სტრუქტურები: სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა-კანცელარია, სამედიცინო კაბინეტი, კომპიუტერული კლასი და დირექტორის ოთახი. IIსართული ფართით-211.14კვ.მ განკუთვნილია საკლასო ოთახისთვის (6 საკლასო ოთახი). III სართული ფართით 211.54კვ.მ-6 საკლასო ოთახი, მათ შორის ერთი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაა. IV სართული ფართით-203. 98კვ.მ-5 საკლასო ოთახი. სკოლას აქვს ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედანი.
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, ზოვრეთის ქუჩა №16
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.10.12.036.012
კვ.მ.	დაზუსტებული ფართობი-412კვ.მ შენობის საერთო ფართი-1002.59კვ.მ
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერები საჯარო რეესტრიდან: • N 882022121238 -21/02/2022 12:04:35 მომზადების თარიღი 28/02/2022 16:30:02 • შენობის შიდა აზომვითი ნახაზებით • ქირავნობის ხელშეკრულებები: 1.რეგისტრაცია-N1-6603, დამოწმება-17/09/2007 2. რეგისტრაცია-N1-6604, დამოწმება-17/09/2007, • შეთანხმება, დამოწმება13/06/2011, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• შეთანხმება, დამოწმება23/05/2016, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. • რეგისტრაცია N882022121238 , თარიღი21/02/2022 შეთანხმება N 2022, • დამოწმების თარიღი 21/02/2022, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საკლასო ოთახები განთავსებულია სკოლის შენობის მე-2-მე-4 სართულებზე. სულ სკოლაში 17 საკლასო ოთახია, მათ შორის ერთი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. საკლასო ოთახები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარით: ინდივიდუალურ მერხებით და სკამებით, მასწავლებლის მაგიდებით, სასკოლო დაფებით. საკლასო ოთახებში გამოკრულია მიზნობრივი თვალსაჩინოებები, რუკები, პლაკატები, მოსწავლეების მიერ შესრულებული ნამუშევრები, დღის რეჟიმი, საგაკვეთილო ცხრილები, შეფასების რუბრიკები, საინფორმაციო დაფაზე, კლასისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციები. ვიზუალური დათვალიერებით საკლასო ოთახებში განთავსებულია 265 ერთადგილიანი მერხი სკამით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციით და საინვენტარიზაციო აქტით, სკოლის მფლობელობაშია: ინდივიდუალური მერხი სკამით-382, სხვადასხვა ზომის სასკოლო დაფა-45, პრინტერი-6, პროექტორი-3, კომპიუტერი-24.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • დირექტორის ბრძანება №3/19 20.12.2021 ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ; • საინვენტარიზაციო აქტი 24/12/2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სასაქონლო ზედნადებები; • საგადახდო დავალებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ეზოში მოწყობილია 155კვ.მ ფართის ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედანი, სადაც დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები. დახურული ტიპის სპორტული დარბაზი სკოლას არა აქვს. თუმცა უამინდობის დროს იყენებს სკოლის შენობის შესასვლელში არსებულ 60 კვ.მ ფართის გადახურულ სივრცეს, რომლის ერთი მხარე წარმოადგენს სპორტულ მოედანზე გასასვლელს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • დირექტორთან ინტერვიუირება • სკოლის დირექტორთან ინტერვიუირება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სადაც კარადებში განთავსებულია ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობის კომპლექტი (208 დასახელება), საბუნებისმეტყველო ლაბორატორია შესაბამისობაშია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011წლის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ N572 ბრძანებით განსაზღვრულ ჩამონათვალთან. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილია სველი წერტილით, აქვს დამატებითი ფანჯარა ცდების ჩასატარებელ ადგილზე ჰაერის გასანიავებლად. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამოკრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიზნობრივი თვალსაჩინოებები. სკოლისთვის საბუნებისმეტყველო მიმართულება პრიორიტეტულია. ფუნქციონირებს ნორჩ მკვლევართა კლუბი „ბინული“. მოსწავლეები აქტიურად იყენებენ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას მრავალფეროვანი ცდების ჩასატარებლად, რაც დასტურდება სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ფოტომასალით და მოსწავლეებთან გასაუბრებით. საბუნებისმეტყველო კათედრის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ გარდა აინშტაინის ლაბორატორიისა აქტიურად იყენებს კოლორადოს ლაბორატორიისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო პლატფორმა ck-12 ინტერაქტიური სიმულაციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ლაბორატორიის მიღება-ჩაბარების აქტი-07/06/2011 დანართით(ლაბორატორიის აღჭურვილობის ჩამონათვალი) • საინვენტარიზაციო აქტი 24/12/2021 • სკოლის ვებგვერდი • მოსწავლეებთან გასაუბრება • საბუნებისმეტყველო კათედრის ხელმძღვანელთან გასაუბრება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. ელექტრო ენერგიის, გაზის და წყლის მიწოდების უწყვეტობას უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კომუნალური დაგახდის ქვითრები. სკოლას აქვს ალტერნატიული დენის წყარო გენერატორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულებაში სულ 8 სველი წერტილია. აქედან 2-2 სველი წერტილი, ბიჭებისა და გოგონებისთვის განთავსებულია შენობის იმ სართულებზე სადაც საკლასო ოთახებია. ერთი სველი წერტილია პირველ სართულზე, რომელიც ადაპტირებულია სსსმ პირისთვის და კიდევ ერთი სველი წერილი განთავსებულია სამედიცინო კაბინეტში. სველი წერტილები მოწესრიგებულია და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები სკოლას დასაწყობებული აქვს ცალკე სათავსოში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • კომუნალური გადასახადის გადახდის ქვითრები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით.ბიბლიოთეკა და სკოლის კანცელარია ერთ ოთახშია განთავსებული. ბიბლიოთეკა აღჭურვილია წიგნების თაროებით, მაგიდებით, სკამებით და ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერით. თაროებზე წიგნები განთავსებულია თემატურად და აღრიცხულია ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში. სულ აღრიცხულია 1010 ერთეული წიგნი. სასკოლო სახელმძღვანელოების აღრიცხვა ხდება ცალკე. აღრიცხულია 419 სასკოლო სახელმძღვანელო. გრიფირებული სახელმძღვანელოები განთავსებულია კლასების მიხედვით. სკოლაში მოქმედებს ანბანურ-სისტემური კატალოგი და მკითხველის ბარათები. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო კლასიფიკაციისა და კატალოგიზაციის წესით. სკოლა სარგებლობს პერიოდული გამოცემით ,,ახალი განათლება“. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკის მიზნები, ამოცანები, ბიბლიოთეკაში გაწევრიანებისა და წიგნების გაცემა-დაბრუნების წესები, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განსაზღვრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ბიბლიოთეკის დებულება • ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი • მკითხველთა ბარათები • საშტატო განრიგი • ,,ახალი განათლება“-საგადახდო დავალება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. შენობის შესასვლელისთვის დამზადებულია მოძრავი პანდუსი. სკოლის შენობაში ფუნქციონირებს ლიფტი. სსსმ პირისთვის, პირველ სართულზე განსაზღვრულია სველი წერტილი. სკოლა ჰყავს ერთი ეტლით მოსარგებლე მოსწავლე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კომპიუტერული კლასი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე, სადაც დგას 17 ინტერნეტქსელში ჩართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კომპიუტერი. კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესში ასევე სკოლის მართვაშიც. სულ სკოლის მფლობელობაშია 24 კომპიუტერი, მათ შორის 3 ლეპტოპია. სკოლა აქვს 3-პროექტორი, 6 პრინტერის აპარატი, მათ შორის 2 ლაზერის და 3D პრინტერი, რომელიც ნორჩ მკვლევართა კლუბმა „ბინულმა“ ჯილდოდ მიიღო COBERM-ის, USAIDის და ინოვაციური განათლების ფონდის მიერ განხორციელებულ პროექტში მონაწილეობისთვის- საინფორმაციო ტექნოლოგიები STEAM სწავლებაში.. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებგვერდი www.binuli.edu.ge,სადაც თემების მიხედვით განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ. ვებგვერდზე განთავსებული ფოტომასალა ასახავს სკოლაში მიმდინარე პროცესებს, იმ ღონისძიებებსა და აქტივობებს, რომლებზეც საუბრობენ სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. ვებგვერზე ასევე განთავსებულია სკოლის ელექტრონული ჟურნალის აპლიკაცია tvschool.ge, რომლის დათვალიერება მხოლოდ დარეგისტრირებული პირებისთვისაა შესაძლებელი. სკოლა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მიზნებისთვის ასევე აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს. შექმნილია სკოლის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის ყოველდღიური ცხოვრების შესახებ, ასევე შესაძლებელია სკოლასთან კომუნიკაცია. ს.ს,,გლობალ ერთი“ უზრუნველყოფს სკოლისთვის ოპტიკური ინტერნეტის მიწოდება 24 სთ-ის განმავლობაში არასამუშაო დღეების ჩათვლით. დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ,,სერვ.ჯი“-სთან
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვებგვერდი www.binuli.edu.ge; • სკოლის ფეისბუქგვერდი; • ვიზუალური დათვალიერება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• საინვენტარიზაციო აქტი 24/12/2021 • ხელშეკრულება ს.ს ,, გლობალ ერთთან “-12/10/2020 • ხელშეკრულება შპს ,,სერვ.ჯისთან“-11/02/2020 • დომენის და ჰოსტინგის გადახდის ქვითრები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის გენერალური დირექტორის №3/14 ბრძანებით (1.10.2021წელი). საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე სწრაფი რეაგირებისთვის შექმნილია საგანგებო შტაბი, განსაზღვრულია შტაბის შემადგენლობა და შტაბის წევრების ფუნქცია-მოვალეობები მიმართულებების მიხედვით, მათ შორის სახანძრო სამსახურის ხელმძღვანელის. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შენობის შესასვლელში, საევაკუაციო ზონაში არის სათანადო აღჭურვილობის სახანძრო სტენდი. სკოლის შენობაში დამონტაჟებულია დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია, ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, საევაკუაციო გეგმები, გამოკრულია ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქციები და სატელეფონო ნომერი „112“ . შენობა აღჭურვილია 11 ცეცხლმაქრებით, რომლებიც განთავსებულია, საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში, ცეცხლმაქრების გადამუხტვა ხდება პერიოდულად, საჭიროების მიხედვით. სკოლას საგანგებო სიტუაციების სამსახურის №764 მიწერილობის შესაბამისად შესრულებული აქვს გარკვეული ვალდებული. მნიშვნელოვანია ,,მოსწავლეთა დარბაზის“ მიერ განხორციელებული ღონისძიება სკოლაში უსაფრთხოების წესების ცნობადობის გაზრდის მიზნით. სამოქალაქო აქტივობის კლუბის ინიციატივით სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაიმართა უსაფრთხო სკოლის კვირეული, რომლის ფარგლებში, კლუბის წევრებმა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს გააცნეს სკოლის უსაფრთხოების სისტემები, უსაფრთხოების სტენდთან აუხსნეს თუ როგორ უნდა დაიცვან თავი საგანგებო სიტუაციების დროს, მათ შორის ხანძრის შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სახანძრო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია • საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (ბრ. №3/14-1.10.2021) • სკოლის ვებგვერდი • სამოქალაქო კლუბის სამოქმედო გეგმა • საგანგებო სიტუაციების სამსახურის№764 მიწერილობა (დანართი 7 ფურცლად)
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში გაწერილია საგანგებო სიტუაციებში პირველადი სამედიცინო დახმარების გასატარებელი ღონისძიებები. ასევე შემუშავებულია სკოლის ექთნის და სამედიცინო კაბინეტის ფუნქციების დებულება, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით (3/14 01.10.2021). სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი (12კვ.მ), სადაც განთავსებულია შემდეგი პირველი სამედიცინო დახმარების ინვენტარი: პაციენტის გასასინჯი ტახტი, სამედიცინო მაგიდა, მაცივარი, კარადა მედიკამენტებისთვის და ინსტრუმენტებისთვის. სამედიცინო კაბინეტს აქვს სველი წერილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სამედიცინო ტახტი და კარადა გამიჯნულია ექთნის სამუშაო სივრცისგან. სკოლას ემსახურება ექთანი, რომელიც აწარმოებს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს; დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმას, ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმას. ასევე რეცხვისა და დეზინფექციის აღრიცხვის ჟურნალს, სკოლაში ჰიგიენური და სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სკოლის ექთნის და სამედიცინო კაბინეტის ფუნქციების დებულება((ბრ. №3/14-1.10.2021) • საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (ბრ. №3/14-1.10.2021 • საშტატო განრიგი • შენობის აზომვითი ნახაზი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, რომელიც შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან MES 2 22 000031 4096; 25/03/2022 წელი. სკოლის ,,უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესში“ გაწერილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები, პრევენციული ღონისძიებები, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება, სკოლის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვის წესი. სკოლას უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების მიზნით შეძენილი აქვს ხელის მეტალოდეტექტორი. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის უსაფრთხოების მენეჯერი. მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში მოქმედებს მასწავლებლების მორიგეობა წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით, რომელიც გამოკრულია ყველა სართულზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ორიენტირებული საერო სკოლა ,,ბინულის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი. • შეთანხმების წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან MES 2 22 000031 4096; 25/03/2022 წელი. • ხელის მეტალოდეტექტორის შეძენის ზედნადები-06/02/2020 • მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი • საშტატო განრიგი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პერიმეტრის დათვალიერება ხდება **8** ვიდეოკამერებით. აქედან 2 ვიდეოთვალი დამონტაჟებულია გარე პერიმეტრზე. სკოლის პერიმეტრის დათვალიერება შესაძლებელია სამედიცინო კაბინეტში განთავსებული ორი მონიტორით. ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვის, ადმინისტრირების, პერსონალურ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გამოყენების წესი გაწერილია სკოლის უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესის მე-4 თავში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საინვენტარიზაციო აქტი 24/12/2021 • სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა,,ბინულის“უსაფრთხოებისადა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი,
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში სასწავლო პროცესი რეგულირდება სკოლის წესდებით, შინაგანაწესით და სკოლის მიერ შემუშავებული სტრუქტურული ერთეულების თანამდებობრივი ინსტრუქციებით. სკოლის წესდებით განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურიდიული მისამართი, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მიზნები; პარტნიორების და მათი უფლება მოვალეობები. მმართველობითი ორგანოები- პარტნიორთა კრება, ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. საზოგადოების საქმიანობის უწყვეტობა და სხვა დებულებები. შინაგანაწესი არეგულირებს სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზებას, განსაზღვრავს ამ პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს, ასევე სკოლასა და მოსწავლის მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობებს. წარმოდგენილ შინაგანაწესით არ იყო განსაზღვრული მოსწავლეთა კონკრეტული დისციპლინური სახდელის გამოყენება რომელი დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მოხდება. ასვე თანამშრომელთა მიღების წესი არ ითვალისწინებდა ზოგადი განათლების კანონის 33-[1] მუხლის მოთხოვნებს, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობის წარდგენას. ექსპერტთა მიგნებები გაიზიარა სკოლამ და ვიზიტის ფარგლებში დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე (ბრ.24/05/2022) შინაგანაწესში შევიდა ცვლილება და აისახე ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი-თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ სტრუქტურებში დასაქმებული პირების სამსახურებრივ ფუნქციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის წესდება; • სკოლის შინაგანაწესი 06/10/2021; • დირექტორის ბრძანება შინაგანაწესში ცვლილების შეტანაზე-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	24/05/2022.; • თანამდებობრივი ინსტრუქციები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავ სამ ეტაპს და ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება. 1.სასკოლო კონფერენცია -სასწავლო წლის ბოლოს, სკოლის გენერალური დირექტორი იწვევს კონფერენციას, ისმენს სკოლის ყველა სტრუქტურული რგოლის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს, შეფასება-ანალიზს და განსაზღვრავს სამომავლო სტრატეგიებს. 2.SWOT-ანალიზი. ანალიზს ახორციელებენ სკოლის დირექტორები, ბუღალტერი, ხარისხის მართვის ჯგუფი, ხარისხის მართვისა და უსაფრთხო სკოლის მენეჯერები. ანალიზი შედეგად გამოიკვეთება სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და რისკები, იგეგმება გამოკვეთილი პრობლემების აღმოფხვრის და სკოლის შემდგომი განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები. დგება სტრატეგიული გეგმის პროექტი. 3. სტრატეგიული გეგმის დამტკიცება. სკოლის განვითარების ერთწლიან და ექვს წლიან გეგმებს ამტკიცებს პარტნიორთა კრება. სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2021-2027 სასწავლო წლების სტრატეგიული მიმართულებების და ამოცანებს. აღნიშნული სტრატეგიული გეგმით სკოლა იხელმძღვანელებს მომავალი ექვსი წლის განმავლობაში და თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით: ობიექტურობა, გამჭვირვალეობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა, განვითარება და ინოვაციურობა. სკოლის პრიორიტეტულ მიმართულებებში მნიშვნელოვანი ადგილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	უჭირავს სკოლის მატერიალური რესურსების ბაზის სრულყოფას და სკოლის აღჭურვას სწავლების ხელშემწყობი სხვადასხვა საშუალებებით. განსაზღვრულია აღნიშნული მიმართულების განხორციელების გზები და ამოცანები, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს-სასკოლო შენობის შეცვლა ან დამატებითი შენობის იჯარით აღება. 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით ერთი წლის მანძილზე განსახორციელებელ კონკრეტულ აქტივობებს და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა (პარტნიორთა კრების ოქმი №3 06.10.2021) . • 2021-2027 წლების სტრატეგიული გეგმა პარტნიორთა კრების ოქმი №3 06.10.2021) . • სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში საქმისწარმოებას ახორციელებს კანცელარიის გამგე, სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა საქმისწარმოების დოკუმენტაცია, ბრძანებების, შემოსული და გასული წერილების საქაღალდეები. სკოლა დისტანციური სწავლების პერიოდში ელექტრონულად, ექსელის ფაილში აწარმოებდა საქმისწარმოების დოკუმენტების აღრიცხვას, იგივე სახით საქმისწარმოება გააგრძელეს დასწრებითი სწავლებაზე დაბრუნებისას, რომელიც არ წარმოადგენს დოკუმენტბრუნვის სანდო სისტემა. ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით სკოლამ საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად, ვიზიტის დროს დაიწყო ექსელის ფაილებიდან საქმისწარმოების ჟურნალებში მონაცემების გადატანა, რომელსაც ყოველთვის აწარმოებდა. წარმოდგენილი საქმისწარმოების ჟურნალები აკინძულია, დანომრილია, ზონარგაყრილია და დამოწმებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ბეჭდით და დირექტორების ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შემოსული წერილების, განცხადებების და საჩივრების აღრიცხვის წიგნი; • განათლების და მეცნიერების სამინისტროდან და რესურსცენტრიდან შემოსული ბრძანებების და წერილების რეგისტრაცია; • სკოლაში შემოსული აქტების და დოკუმენტების რეგისტრაცია; • სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსული დოკუმენტების რეგისტრაცია; • თანამდებობრივი ინსტრუქციები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი

41

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებულია გენერალური დირექტორი, დირექტორი, უსაფრთხო სკოლის მენეჯერი, რეჟიმის ადმინისტრატორი, ფსიქოლოგი, ექთანი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, ხარისხის მართვის მენეჯერი, დაწყებითი საფეხურის ხარისხის მართვის მენეჯერი, საინფორმაციო მენეჯერი, მზარეული, მზარეულის დამხმარე, მასწავლებლები და მასწავლებლის ასისტენტები. შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ბუღალტერი ითავსებს კანცელარიის გამგის ფუნქციებს. მზარეული ითავსებს ექთნის ფუნქციებს. მას აქვს მედდის კვალიფიკაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• EMIS ამონაწერი, • შრომითი ხელშეკრულებები, • გასაუბრება დასაქმებულებთან, • გასაუბრება დირექციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	28
მოწვეული/მაძიებელი	3
პრაქტიკოსი მასწავლებლი /უსტატუსო	0 /3
უფროსი მასწავლებლი	18
წამყვანი მასწავლებლი	2
მენტორის სტატუსი	2

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	სკოლაში დასაქმებულია 3 უსტატუსო მასწავლებელი (მუსიკის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	სპორტისა და ისტორიის მასწავლებლები). ისტორიისა პედაგოგი დარეგისტრირებულია 2022 წლის საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაზე. სპორტის პედაგოგს დაგეგმილი აქვს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის გავლა. დასაქმებულთა პირად საქმეებში არ იყო წარმოდგენილი ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“ ვიზიტის პერიოდში სკოლამ შსს მომსახურების სააგენტოში გააკეთა განაცხადი აღნიშნული ცნობების მომზადების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• EMIS ამონაწერი, • პირადი საქმეები, • ხელშეკრულებები, • გასაუბრება დასაქმებულებთან, • გასაუბრება დირექციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები. დასაქმებულებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში ასევე განსაზღვრულია ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები. სკოლაში მასწავლებელთა მიღება ხდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. შინაგანაწესით განსაზღვრული იყო სამუშაოდ მიღებისას თანამშრომელთა მიერ წარმოსადგენი ნუსხა. მათ შორის - ნასამართლეობის შესახებ ცნობა (მოთხოვნის შემთხვევაში) და ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ (მოთხოვნის შემთხვევაში). ნუსხაში არ იყო ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“. სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შინაგანაწესში, თანამშრომელთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალში შევიდეს ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“, ხოლო ნასამართლეობის ცნობის შემთხვევაში მითითებულ იქნეს არა მოთხოვნის შემთხვევაში არამედ სავალდებულოდ. შინაგანაწესის მე-4 თავი „სასკოლო დისციპლინა და დისციპლინური პასუხისმგებლობა“ განსაზღვრავს სკოლაში არსებულ პრინციპებს დისციპლინის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოებას, დისციპლინურ სახდელებს, მასწავლებლის დისციპლინური გადაცდომის სახეებსა და სახდელებს, მასწავლებლის მიმართ დისციპლინური წარმოებასა და დისციპლინური კომიტეტის საქმის წარმოების წესს. თუმცა შინაგანაწესში არ არის განსაზღვრული კონკრეტული დისციპლინური სახდელის გამოყენება რომელი დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მოხდება. სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სკოლას მიეცა რეკომენდაცია, წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემის შემუშავების მიზნით შინაგანაწესში გაიწეროს კონკრეტული დისციპლინური სახდელების დაკისრება რომელი დისციპლინური გადაცდომების შემთხვევაში მოხდება. შემუშავდეს წახალისების სისტემა. აგრეთვე, განისაზღვროს სანქციების სისტემა არა მხოლოდ მასწავლებლებისათვის არამედ სკოლაში დასაქმებული ყველა პირისათვის. ვიზიტის პერიოდში შინაგანაწესში შევიდა ცვლილება. შედეგად შინაგანაწესში აისახა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი, 06/10/2021 • ჩასწორებული შინაგანაწესი, 24/05/2022 • შრომითი ხელშეკრულებები, • ბრძანებები კონკურსის გამოცხადების შესახებ, • ბრძანება დისციპლინური კომიტეტის დანიშვნის შესახებ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ბრძანება შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის შესახებ 24/05/2022 • გასაუბრება დირექციასთან,
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანების მოთხოვნები; ხელშეკრულებები გაფორმებულია კატეგორიების მიხედვით. წამყვან და მენტორ მასწავლებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში, მასწავლებლის ვალდებულებებში ასახულია აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული ფუნქციები. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. დასაქმებულის მიერ ხელმოწერით დადასტურებულია, რომ სკოლის დირექტორმა მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნო სკოლის შინაგანაწესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები; • სკოლის საშტატო განრიგი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების გაზიარება, ხარისხის მართვის ჯგუფის დახმარებით მასწავლებლის წინსვლისთვის საჭირო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სამოქმედო გეგმის განსაზღვრა, უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლების ჩართვა მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ სავალდებულო ტრენინგებში, მასწავლებელთა ჩართვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ვებინარებსა და ტრენინგებში, რაც ხელს უწყობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას სკოლაში. სოციალურ ქსელში შექმნილია სკოლის მასწავლებელთა დახურულ ჯგუფი, რომელშიც ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის კოორდინატორი აწვდის მასწავლებლებს ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების (ვებინარები, ტრენინგები, კონფერენცია) შესახებ, რაც უზრუნველყოფს მასწავლებელთა ჩართულობას პროფესიული განვითარების ღონისძიებებში. სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებელთა თანამშრომლობა გამოცდილების გაზიარების მიზნით გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება. პედაგოგები პროფესიული განვითარების მიზნით ესწრებიან სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ სტატუსის შესაბამის ტრენინგებს. შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც მუშაობს ორი მიმართულებით: ადმინისტრირების მიმართულებით და მონიტორინგის,მხარდაჭერის მიმართულებით. ადამიანური რესურსების განვითარების აქტივობები გაწერილია სკოლის სტრატეგიულ და ერთწლიან გეგმებში, სადაც მხოლოდ პედაგოგებზეა საუბარი. თუმცა სკოლამ წარმოადგინა სამზარეულოს პერსონალის მიერ გავლილი პროფესიული გადამზადების სერტიფიკატები, რომელიც გაცემულია- გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ტრენინგების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია • ბრძანება ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნის შესახებ, 01/10/2021 • ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება, 07/10/2021 • ხარისხის მართვის ჯგუფის სამოქმედო გეგმა, • მასწავლებელთა პორტფოლიოები, • გასაუბრება ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• გასაუბრება მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს დამკვიდრებული ღირებულებები, თანამშრომლობითი გარემო, მოსწავლეზე ორიენტირებულობა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა სახელწოდებით „მოსწავლეთა დარბაზი," რომელიც არჩევითი ორგანოა. მოსწავლეები დარბაზის წევრებსა და თავმჯდომარეს ირჩევენ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო აქტივობის, კულტურისა და სპორტის კლუბები. მოსწავლეთა ინიციატივით ხორციელდება მრავალფეროვანი სასკოლო შემოქმედებითი, შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებები: სასკოლო გამოფენები და კონკურსები, შემეცნებითი ექსკურსიები, ვიზიტები მუზეუმებში, სასკოლო პროექტები. სკოლაში მუშაობს ნორჩ მკვლევართა კლუბი, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაღრმავებულ სწავლებას უზრუნველყოფს. მოსწავლეები ახორციელებენ პროექტებს, პრაქტიკულ სამუშაოებს, მონაწილეობენ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ღონისძიებებში. სასკოლო ღონისძიებებში ჩართულები არიან მოსწავლეთა მშობლები. დაცულობისა და კეთილგანწყობის ატმოსფეროს შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასკოლო პროექტი ,,დიდები პატარებისთვის", რომლის ძირითადი იდეა უფროსკლასელების პატარებზე მეურვეობაა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მოსწავლეთა დარბაზის დებულება, • მოსწავლეთა თვითმმართველობის ანგარიში, • სასკოლო კლუბების სამოქმედო გეგმა და მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ნორჩ მკვლევართა კლუბის მუშაობის ამსახველი პორტფოლიო და ვიდეოკლიპები, • ნორჩ მკვლევართა კლუბის მეურვესთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	1. სამედიცინო კაბინეტის სრულყოფილი ფუნქციონირების მიზნით სკოლამ უზრუნველყოს ექიმის პოზიციაზე 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების შესაბამისად, შესაბამისი სპეციალობის პირის შერჩევა. 2. სკოლამ უზრუნველყოს ცალკე დოკუმენტად „ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების“ შემუშავება, სადაც მასწავლებლების გარდა წარმოდგენილი იქნება სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის დაგეგმილი ღონისძიებები.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი. 27.06.2022.

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა 48 გვერდი

48

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.